საქართ. მუშარაზმის ხოც.-უფლებრალიტი სარევოლიუციო პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე კანტორა ღია ღილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ტფილ. ფასი 500 მან. ▭ პროვინც. 6000 მან.

№ 305

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარასკევი სექტემბრის 29

1922 წ.

შაბათს, სექტემბრის 29, საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის შენობაში

დანიშნულია მოქალაქეთა კრება ტფილისის საბჭოს აღმასკომისა

დღის წესრიგი:

1) ქალაქის აღმასკომის სმეტის დამტკიცება წლ ს მეორე ნახევრისათვის,
2) კოლექტიური ხელშეკრულების შესახებ და
3) სხვა.

ეგელა წევრის თავის დროზე გამოცხადება სავალდებულოა.

მდივანი: ხუნდაძე.

№ 50 1—1

იმპერიალისტების მშვიდობიანობა

ყოველი უზნეო ზნეობრივობაზე ხმა მაღლა ლაპარაკობს. ყოველი უპატიოსნო პატიოსნების ბოლოლეტად გამოდის. იმპერიალისტებიც მშვიდობიანობის სახელით მოქმედებენ ხშირად და „წესიერებისა“ და „მყუდროებისათვის“ აჩენენ ცეცხლს როგორც დედა მიწის ზურგზე, ისე ზღვის ძირში და ჰაერშიაც.

ომისაგან განადგურებული „გამარჯვებული ევროპა“ დღიდან თავის „გამარჯვებისა“, ეძებს გზებს, ეზებს გამოსავალს გამოუვალი მდგომარეობიდან, იგი სულ „მსოფლიოს მშვიდობიანობას“ გაჭკვის, მაგრამ ვერსალის ზავითა და სევრის ხელშეკრულობით სასიკვდილო განაჩენი გამოაქვს ერებისათვის.

საფრანგეთის იმპერიალიზმის მადა არ ჩერდება არავითარი დაბრკოლების წინაშე და ყოველი კომპრომისის გადალახვა აქვს მიზნად დასახული, რათა მან მიადწიოს ევროპის ჰეგემონიას.

ამავე „მშვიდობიანობის“ სახელით დღეს სამშვიდობო მოლაპარაკება სურს სისხლით გასვრილ მოკავშირეებს ოსმალეთთან და იწვევენ მას კონფერენციაზე.

კერზონის განცხადებით, ეს კონფერენცია შედეგია ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის შორის სრული თანხმობის, მაგრამ ჩვენ ვერ ავიბამს თვალებს კერზონის იაფ-ფასიანი დიპლომატიური ფრაზეოლოგია და კარგად ვიცით, რომ თვით ოსმალეთ-საბერძნეთის ომი შედეგია სწორედ იმ უთანხმოების, რომელიც დიდი ხანია არსებობს საფრანგეთსა და ინგლისს შორის და რომელიც არ დასრულებულა ქემალის გამარჯვებით.

საფრანგეთის პოლიტიკაც გამარჯვებით აიხსნება ახლო-აღმოსავლეთის კონფერენცია, რომელიც რა თქმა უნდა „მშვიდობიანობის“ დამყარების სახელით არის მოწვეული, მაგრამ არსებითად მის მიზანს შეადგენს საბჭოთა რესპუბლიკების ჩაკეტვა აღმოსავლეთით, როგორც ეს არის დღეს-დღეობით დასავლეთით.

ამიტომ არის, რომ „მშვიდობიანობის“ მოყვარე ხალხი საბჭოთა რესპუბლიკებს არ იწვევენ კონფერენციაზედ და სურთ სრულუფლების საკითხის გადაწყვეტა მათ ინტერესთა წინააღმდეგ.

გუშინ ჩვენ მოწინავე წერილში ხაზი გაუსვით იმ გარემოებას, რომ ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ახალი პოლიტიკური კომბინაციები დიდი მნიშვნელობის მქონეა საბჭოთა რესპუბლიკებისათვის და როგორც ვიცით, საბჭოთა რესპუბლიკები პროტესტს აცხადებენ კონფერენციაზე მიუწვეველობის გამო და არ სცნობენ საკადრებულად იმ კონფერენციის დადგენილებას, რომელიც იქნება მოწვეული მათი მონაწილეობის გარეშე.

აშკარაა, რომ ახლო აღმოსავლეთში „მშვიდობიანობას“ ვერ დაამყარებენ იმპერიალისტები და დეპეშები კიდეც გვაუწყებენ, რომ როგორც ინგლისი, ისე საფრანგეთიც და ოსმალეთი სამხედრო ძალებს ამზადებენ. ამერიკამაც უკვე გამოაგზავნა ოსმალეთისაკენ კრეისერები და ცხადია ამ საერთო ჭიდილში ახლო აღმოსავლეთის ირგვლივ იგი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

როგორ მიმართულებაც არ უნდა მიიღოს ახლო აღმოსავლეთში ახალმა პოლიტიკურმა კომბინაციებმა, ერთი ეჭვს გარეშეა—მომავალი კონფერენცია ვერ შეჰქმნის პირობებს ახლო აღმოსავლეთში ქეშმარიტი მშვიდობიანობის დამყარებისათვის.

იმპერიალისტური „მშვიდობიანობა“ შეიძლება საბჭოთა რესპუბლიკებსაც შეეხო და ჩვენც ყოველთვის უნდა მზად დავხვდეთ ჰუმანიურ ხტუმრებს, რომელნიც მსოფლიოს მშვიდობიანობას ამყარებენ და მისთვის არ ზოგავენ არც მძიმე არტილერიას და არც მილიონობით ადამიანთა მსხვერპლს.

ახლო აღმოსავლეთის ამბებმა შეიძლება დიდი ჭიდილის მოწამენი გაგვხადოს და ამ ჭიდილისათვის საჭიროა საკანონო თავდარიგი.

საშიში მდგომარეობა

მაღალია მუდამ იყო მტერი მთელი ამიერ კავკასიისა. იგი მუსრავდა და ანადგურებდა კერძოთ საქართველოს. მხსვერპლი მისგან მრავალი იყო.

მაგრამ მაღალია არ ყოფილა ისეთი ძლიერი, საშინელი და სახიფათო, როგორც დღეს.

ორგანიზმი ადამიანისა ისევ დაუძლურებული, დასუსტებული, რომ მასთან ბრძოლა ვერ ძალუძს, წინააღმდეგობას ვერ უწევს. იმპერიალისტურმა ომმა და განადგურებულმა სახალხო მეურნეობამ, დაცემულმა მატერიალურმა კულტურამ და კეთილდღეობამ ხალხისამ ამ საქმეში თავისი წვლილი მოგვცა.

უსაშინელესი ქარიშხალივით რესპუბლიკის ერთი კუთხიდან გადმოვიდა მალარია მეორეში. ყოველ მხრიდან ნოიესმის ხმა, მოგვდის ცნობები, რომ მთელ მცხოვრებთ ედება ეს სენი. ხდება ავად დიდი და პატარა, ქალი და კაცი.

ავადმყოფობა მიმდინარეობს მძიმე ფორმებში (მაღალი ტემპერატურა, ხანგრძლივობა ავადმყოფობისა), არა ერთხელ იყო შემთხვევები სიკვდილისა.

საშინელებას წარმოადგენს არა მარტო თვით „სნეულება. იგი, თუ დროზე არ არის მიღებული ზომები, ბოლოს ასუსტებს ადამიანის ორგანიზმს, აუძლურებს და უ ზადებს ნიადაგს სხვა მძიმე სნეულებათა გაჩენას, უფრო ძლიერ კი ფილტვებისას (ტუბერკულიოზი).

დასუსტებული და დაუძლურებული ორგანიზმი ადამიანის ღრუბელისამებრ ისვამს, იზიდავს სხვა და სხვა ავადმყოფობას, სნეულებას.

აქედან მალარიის პირდაპირი შედეგია ბრდა ტუბერკულიოზისა, იგი ხელს უწყობს ქლექის გავრცელებას, მით დაავადებას და მართლაც, ჩვენ ამაში ვრწმუნდებით. წელს ავგოიკ ბახმაროში წასულ პროფ. ალადაშვილის და გოგიტიძის მოწმობით, თითქმის მთელი ჩვენი გლეხობა, საზაფხულოდ ბახმაროში ჩამოსული ტუბერკულოზით დასნეულებულნი ყოფილან, ან ყოველ შემთხვევაში მის ნიშნებისათვის მომზადებული ყოფილა ნიადაგი.

ჩვენს განკარგულებაში მყოფი სამუთები გვაძლევენ უფლებას დავასკვნათ, დავასაბუთოთ, რომ ბევრ ჩვენს მაზრებში მალარიით ავადმყოფნი შეადგენს 86 პროცენტს მთელი მცხოვრებლებისას, იმ ადგილებში სადაც მოქმედებენ ექსპედიციები.

აქედან არ არის ძნელი წარმოვიდგინოთ, თუ რა ხიფათს, რა საშინელებას უმზადებს ხალხის ფიზიკურ ჯანმრთელობას და მის არსებობას დღევანდელი გავრცელებული მალარიის ეპიდემია.

არა ნაკლებია მისი უარყოფითი შედეგები ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში, რომელიც ძლიერ საჭიროებს წარმოების ძალთა განვითარებას.

თუ წარმოვიდგენთ, რომ თვითეული მალარიკი საშუალოდ მთელი წლის განმავლობაში, ვთქვათ, 10 დღეს ავადმყოფობს, ძლიერ მცირე რომ ვიანგარიშოთ, ზარალი მოიქვს (თუ მზედველობაში მივიღებთ მამაკაცს, წლოვანებით 20—25 წლამდე და მის დღიურ ხელფას 50.000 მან. ეს შეადგენს 195.650.000 მან.) თითქმის 200 მილიარდ მანეთს ე. ი. ოქროს ფულით რომ ვიანგარიშოთ, წელიწადში 2 მილ. მან. უდრის.

საუბედურეოდ, რამდენადაც ძლიერია მალარია, იმდენათვე სუსტი ვართ მასთან ბრძოლაში.

ვინაიდგან მალარიასთან ბრძოლა წარმოადგენს ფრიად დიდ მნიშვნელოვან საკითხს, ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ შარშან დაარსებული იყო ცენტრალური მალარიის სადგური შემდეგი განყოფილებებით: კლინიკური, გემატოლოგიური, ენტომოლოგიური, პროტისტოლოგიური და ქიმიური. სადგურის მიზანია სამეცნიერო შესწავლა მალარიისა და საერთო ხელმძღვანელობა მალარიის საწინააღმდეგო კამპანიისა. ცუდ პირობებისა გამო, სადგურმა ვერ შესძლო საჭირო მასშტაბში გაეშალა თავისი მოქმედება. დაწყებული იყო მხოლოდ წინასწარი ორგანიზაციული მუშაობა და რიგი ბეცნიერული გამოკვლევებისა, შარშანდელ დაგზავნილ სამ (3) ექსპედიციის გარდა რიგშია ექიმთათვის დაარსება სპეციალური კურსებისა მალარიის საწინააღმდეგოდ.

წელს შევძელით გაგზავნა 6 მალარიის ექსპედიციის იმ რაიონებში, სადაც უფრო მძვინვარებს ეპიდემია. (ყარაიაზის, თელავის, ალაზანის, რიონის, გურიის და ზუგდიდის რაიონებში).

ექსპედიციებმა გახსნეს და აამუშავეს ამბულატორიები. დაიწყეს მიდება ავადმყოფებისა, რომელთაც უსასყიდლოდ, უფასოდ ურიგებდნენ ქინაქინას.

— მათ მრავალი ავადმყოფი მოიწყვა. პირველ ორი კვირის განმავლობაში, 5 ექსპედიციამ მიიღო 4500-დე ავადმყოფი. მაგრამ ეს ხომ წვეთია ზღვაში და მასთანავე ძირითადი დანიშნულება ექსპედიციის, ხომ სამეცნიერო გამოკვლევაა და შესწავლა მიზეზებისა, ფორმებისა და დაავადების პირობებისა და არა პირდაპირი მასთან ბრძოლა. ამას გარდა ექსპედიციებსაც არ შეუძლიათ დაიქადონ, რომ მათ დიდ ყურადღებას და დახმარებას უწევდენ ადგილობრივი ხელისუფლებანი (გადაზიდვის საქმეში, ბინების და სხვა.)

ადგილობრივ ჯანმრთელობის განყოფილებებს, რომელთაც თვით აქვთ დაკისრებული ბრძოლა მალარიის წინააღმდეგ, არ მოეპოვება ამ მიზნისათვის არავითარი საშუალება: არც ფული, არც რაიმე სხვა ქონება. ქინაქინი სრულიად არა აქვთ და თუ მოეპოვებათ, ისიც მიკროსკოპული დოზები. ამ დღეებში რ. ს. ფ. ს. რ. ჯანმრთელობის კომისარიატისაგან ჩვენ მივიღეთ ქინაქინი 50 კილო უსასყიდლოთ 50 ფასით. ქინაქინი დაგზავნილია პროვინციებში, რომ არ მივიღოთ მხედველობაში ის, რაც ადრე იყო გაკეთებული. მაგრამ ესეც არ კმარა, ცოტაა.

საჭიროა გავაძლიეროთ ჯანმრთელობის განყოფილების ნივთიერი მდგომარეობა. უსახსრობით არაფერი კეთდება. საჭარაოთ დასამტკიცებელი ცენტრალურ აღმასკომისაგან შინაგან საქმეთა კომისარიატის მიერ შემუშავებული (ჯან. კომის. გან. კომთან. ერთად შეთანხმებით.) პროექტი გადასახადებისა, სახალხო ჯანმრთელობისა და განათლების საჭიროებისათვის, მოგვცემს საშუალებას მივიღოთ რიგი ზომებისა ეპიდემიის წინააღმდეგ და კერძოდ მალარიის წინააღმდეგ. (ქინინიზაცია იმ ადგილებში, სადაც უფრო ძლიერია ეპიდემია).

მაგრამ ადგილობრივი ჯანმრთელობის განყოფილებასაც შეუძლია და ვალდებულიც არიან სხვა დაწესებულებებთან ერთად, გაშალონ მალარიასთან საწინააღმდეგო კამპანია.

ჯერ ეს ერთი, ყოველ მაზრებში უნდა იქნეს დაწესებული მუდმივი მალარიასთან საბრძოლველი კომისიები, რომელშიც უნდა იღებდეს მონაწილეობას პროფბიურო, ეკონომ. განყოფილების, კომუნალურ მეურნეობის, პარტკომების, ახალ. კომ. კავშირის წევრების და სხვათა წარმომადგენლები, რომლებმაც უნდა გამოიმუშავონ საერთო გეგმა მის განსახორციელებლად და ცხოვრებაში გატარებისათვის.

მეორეთ, საჭიროა ფართე მასშტაბში ფაბრიკებში, ქარხნებში, სოფლებში და თემებში პოპულიარული ლექციებისა და საუბრების გამართვა შემდეგ თემებზე: თუ როგორ უნდა დაიფარო თავი მალარიისაგან, მისი ექიმობა, და სხვა. ლექციებისა და საუბრების გამართვა უნდა მიენდოს და დაეკისროს მაზრებში ყველა ექიმებს.

ყოველ მაზრებში და ადგილებში შემუშავებულ უნდა იქნეს მედიკურის და ტეხნიკური ძალების მონაწილეობით სამუშაო გეგმა რამოდენიმე წლით. ზომების მიღება არა ფართო მასშტაბისა (ჭაობების დაშრობა, არხების გაყვანა და შესწორება, გამშრობ მცენარეთა გაშენება, ტბებისა და შეგუბებულ წყლების მოსპობა და სხვა.), რომელიც საჭიროთ უნდა იქნეს სუსტულში მოყვანილი, მცხოვრებთა მასის მიერ კეთილ ნებით ან მათი დაბეგვრით (შრომისა და ტვირთ მზიდავ ხარკით, საზოგადოების დადგენილებით).

მუშაობის შედეგის კეთილ ნაყოფიერება დამოკიდებულია ენერგიისაგან, ადგილობრივ ძალთა ინიციატივით და დაუღალავი შრომით.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა ითქვას, რომ მალარიასთან ბრძოლა არის არა მარტო საქმე ჯანმრთელობის ორგანოებისა, არამედ ეკონომიურ დაწესებულებათა და მშრომელთა საქმეცაა.

გრ. კუბაიძე.

(კომუნისტი).

ახლო აღმოსავლეთი

ახლ. აღმოსა

კონფერენცია და რუსეთი.

მოსკოვი 28 სექტ. „დეილ-მეილი“ იზიარებს ქემალის აზრს რუსეთის კონფერენციაზე აუცილებლად მოწვევის შესახებ.

ინგლისის პრესის ცნობით, საკითხი რუსეთის კონფერენციაზე მოწვევის შესახებ აღელვებს ლონდონს და პარიზს. „დეილი გერალდ“ და „დეილი ნიუს“ აღნიშნავენ, რომ კონფერენცია ურუსეთოდ უაზრობაა.

— მოკავშირეთა წრეებში იხილავენ მისაღებ ზომებს იმ შემთხვევისათვის, თუ ანგორა მტკიცედ დაიცავს თავის მოთხოვნილებას რუსეთის მოწვევის შესახებ. რუსეთის მოწვევას ექნებოდა საბჭოთა მთავრობის ფორმალური ცნობის ხასიათი, რაც გამოიწვევდა საფრანგეთის ოპოზიციას.

— ინგლისის მთავრობის პრესსა გაჩუმებულია რუსეთის კონფერენციაზე მოწვევის საკითხის შესახებ.

ანგლოფილები სტოვებენ სტამბოლს.

მოსკოვი 28 სექტ. ქემალი მოითხოვს კონფერენციის მოწვევას მცირე აზიაში, ვინაიდან მას მთავარსარდლის მოვალეობანი არ აძლევენ საშუალებას დასტოვოს ჯარი.

სტამბოლის შესახებ.

მოსკოვი 28 სექტ. მოკავშირეთა მთავარ-სარდლის ცოლი და ინგლისის ოფიცრების ცოლები სტოვებენ სტამბოლს.

ფრაკიის საკითხი.

მოსკოვი 28 სექტ. ქემალმა უარყო წინადადება ფრაკიის დროებით საფრანგეთზე გადაცემის შესახებ და მოითხოვს ფრაკიის დაუყოვნებლივ ოკუპაციას ოსმალეთის ჯარების მიერ.

ნეიტრალურ ზონაში.

მოსკოვი 28 სექტ. ოსმალეთის კავალერია, რომელმაც გუშინ დაიხია ნეიტრალურ ზონიდან, დღეს ისევე შეიჭრა ძიგ დამხმარე ძალებით. გერინგტონმა მოითხოვა ჯარების უკან გაყვანა 48 ს.

ქემალისადმი მოკავშირეთა ნოტის შესახებ.

მოსკოვი 28 სექტ. ქემალისადმი მიმართულ მოკავშირეთა ნოტამ ინგლისის და საფრანგეთის პრესაში დიდი კმაყოფილება გამოიწვია.

თითქმის საფრანგეთის წრეებიც სთვლიან, რომ ანგორამ მიიღო მოლოდინზე მეტი.

— ეხება რა ანტანტის ნოტას, გაზეთი „ენიგიუნ“ წინააღმდეგია მოკავშირეთა პირობების მიღების. „მოკავშირეთ სურთ—სწერს გაზეთი—შეაჩერონ ჩვენი არმიის წინმსვლელობა ლიტონი ფრაზებით. მოკავშირეებს უნდათ სტამბოლის და სრუტეების დაკავებით გვიკარნახონ მძიმე საზავო პირობები. მოკავშირეებმა უნდა უარჰყონ ასეთი ფიქრები.

მცირე ანტანტა.

მოსკოვი 28 სექტ. ოსმალეთისათვის ფრაკიის და ადრიანოპოლის გადაცემის შესაძლებლობის ცნობამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა საძრეთ-სლავიაში.

ოსალეთის პასუხი.

ჰანოვერი 28 სექტ. „პტი პარიზეინი“-ს ცნობებით ღამით, 27 სექტემბერს მიდებულია პარიზში და ლონდონში ქემალ-ფაშას პასუხი მოკავშირეების კოლექტიურ ნოტაზე. პასუხის შინაარსი ჯერ კიდევ გამოურკვეველია.

ჰანოვერი 27 სექტ. „დეილი ქრონიკლი“ გამოსთქვამს შიშს, რომ ქემალ ფაშას პასუხი არ იქნება ხელსაყრელი. გაზეთის ცნობით, თითქოს ქემალ ფაშა აცხადებს, რომ ოსმალეთი მხოლოდ იმ შემთხვევაში შესწყვეტს სამხედრო მოქმედებას, თუ ინგლისი შესწყვეტს დამხმარე ძალების გაგზავნას.

ინგლისის დამხმარე ძალები.

ჰანოვერი 28 სექტ. ინგლისი განუწყვეტლივ გზავნის საზღვაო და ხმელეთის სამხედრო ძალებს. განზრახულია სასწრაფოდ გაიგზავნოს ლონდონიდან სამი ბათალიონი ქვეითა ჯარი.

ინგლისის ესკადრის შემადგენლობა ახლო-აღმოსავლეთში.

ჰანოვერი 28 სექტ. ინგლისის ესკადრა ახლო-აღმოსავლეთში შესდგება სამი დრედნოუტისა, 5 მსუბუქი კრეისერისა და 12 გამანადგურებელისაგან. ამის გარდა ძალტას კუნძულზე მოელიან კიდევ სამ დრედნოუტს, ერთს კრეისერს და ერთ გამანადგურებელს.

ბაკუების გადიდება.

ჰანოვერი 28 სექტ. გერმანიის რეიხსტაგმა დაადგინა გაადიდოს ბაკუები 50 პროცენტით.

თამბაქოს ბაჟებს განიხილავენ განსაკუთრებით.

ერთა ლიგა და ავსტრია.

ჰანოვერი 27 სექტ. ვენაში შიშს გამოსთქვამენ, რომ საკითხი ავსტრიისათვის სესხის მიცემის შესახებ გაგრძელდება ერთა ლიგის გადაწყვეტილებით.

საბერძნეთის ამბები.

ჰანოვერი 28 სექტ. 27 სექტემბერს საბერძნეთის კაბინეტი, ჰავასის სააგენტოს ცნობით, გადადგა.

ჰანოვერი 28 სექტ. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ლარისში, მეტალენში და სალონიკაში იფეთქა რევოლიუციონურმა აჯანყებამ ჯარის ნაწილებისა და ფლოტის მონაწილეობით.

ჰანოვერი 28 სექტ. პარიზის უკანასკნელი ცნობების მიხედვით, კონსტანტინე მეფე გადადგა ტახტიდან თავის მემკვიდრეს სასარგებლოთ.

პანიკა სტამბოლში.

ჰანოვერი 28 სექტ. „დეილი ქრონიკლის" ცნობებით, სტამბოლში მთავრობის წრეებში სუფევს პანიკა. სულთანი აღელვებულია თავის მინისტრების გადადგომით და ეშინია გადაყენების. კანდიდატად სულთანის ტახტზე ითვლება პრინცი სელიმი. ამბობენ, რომ ქემალ ფაშას განზრახვა აქვს დანიშნოს დიდ ვეზირად გამიდ-ბეი.

ინგლისის ჯარების გაძლიერება.

ნიუიენი. 28 სექ. დიდი სამგზავრო გემმა „ემპრესსიო ინდიო"-მ წამოიყვანა ინგლისის ჯარები ახლო აღმოსავლეთში მყოფ ჯარების გასაძლიერებლად, ინგლისის მთავრობამ რეკვიზიცია უყო გემებს—„მაინომა" და „კორსიკენ"-ს იმავე მიზნით.

კაისის საარტილერიო გარნიზონიდან მე-7 საარტილერიო ბრიგადა გაემართნენ ჩანაკისაკენ.

ინგლისი და რუსეთი

ნიუიენი. 28 სექ. „ტანის" ცნობით, ინგლისის ოფიციალური წრეები პროტესტს არ განაცხადებენ რუსეთის მოწვევას. წინააღმოეგ ახლო აღმოსავლეთის კონფერენციაზე.

რევოლიუცია საბერძნეთში.

ნიუიენი. 28 სექ. რეიტერის სააგენტო იუწყება სამერძნეთიდან, რომ საბერძნეთში დაიწყო სერიოზული რევოლიუციონური მოძრაობა. რევოლიუციონერები მოითხოვენ მეფე კონსტანტინეს გადადგომას, რომელმაც, უკანასკნელი ცნობების მიხედვით, ტახტზე უკვე უარი განაცხადა. ჰავასის სააგენტოს ცნობით, საბერძნეთის კაბინეთი გადადგა. რევოლიუციონური მოძრაობა განსაკუთრებით ძლიერია მეტილენგში, სალონიკში და ლარისში. მოძრაობაში იღებს მონაწილეობას ჯარი და ფლოტი.

განიარაღება შეაჩერეს.

ჰანნოვერი. 28 სექ. ვაშინგტონის ცნობით, ამერიკის სამხედრო მინისტრმა განაცხადა, რომ რადგანაც იტალიის და საფრანგეთის მთავრობამ არ უყვეს რიტიფიკაცია ვაშინგტონის დადგენილებას, ამერიკის მთავრობა საჭიროდ სთვლის შეაჩეროს დაწყებული განიარაღება.

სამხრეთი სლავია მზად არის ომისათვის.

ჰანოვერი. 28 ჰექტ. სამხრეთ-სლავიის მთავრობამ უკანასკნელ სხდომაზე განიხილა აღმოსავლეთის საკითხები და დარწმუნდა, რომ სამხრეთი-სლავია მზად არის ომისათვის.

რუსეთის ნოტა

ნიუენი. 28 სექტ. საბჭოთა მთავრობის ნოტაში, რომელიც გაეგზავნა ინგლისს, აღნიშნულია, რომ საბჭოთა მთავრობა ენერგიულ პროტესტს აცხადებს ევროპიულ სახელწიფოთა მიერ რუსეთის უფლებების არა უზრუნველყოფის გამო ახლო აღმოსავლეთის საკითხში. საბჭოთა მთავრობა არ ცნობს არც ერთ დადგენილებას, რომელიც მიღებული იქნება რუსეთის გარეშე და რომელიც მიმართული იქნება რუსეთის უკრაინის და საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ, რომელნიც ოსმალეთის შემდეგ ყველაზე უფრო დაინტერესებულნი არინ სრუტეების თავისუფლებაში. საბჭოთა მთავრობა წინადადებას იძლევა დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას კონფერენცია ყველა დაინტერესებულ ხხარეთა წარმომადგენლებისაგან კონფლიქტის საბოლოოდ გადასაწყვეტად.

რუსეთი-იაპონიის კონფერენცია

მოსკოვი, 28 სექტემბერი. რუსეთ-იაპონიის კონფერენციის სხდომაზე ამბ. იოფემ გამოაქვეყნა ახლად მიღებული ინსტრუქციები. ინსტრუქციებში ღნიშნულია, რომ საბჭოთა რუსეთი და შორეულ-აღმოსავლეთის რესპუბლიკა არ დათანხმდებიან იმაზე, რომ ვალდებულება ურთიერთშორის საზხედრო მოქმედებისაგან თავის შეკავებისა არ ვრცელდებოდეს იაპონიაზე. ორივე სახელმწიფოები არ დათანხმდებიან აგრეთვე სახალინის რუსეთის ნაწილის ოკუპაციაზე. ორივე სახელმწიფოები არ მიიღებენ თავის თავზე ნიკოლაევის ამბების პასუხისმგებლობას. ისინი ფიქრობენ, რომ ეს საკითხი და მთელი რიგი სხვა საკითხებისა, რომლებიც შეეხებიან რუსეთის მოქალაქეების დაზარალებას იაპონიის ოკუპაციისაგან, უნდა გახდეს განხილვის საგნად. ორივე სახელმწიფოები მოითხოვენ ვადის დაწესებას სახალინის ჩრდილოეთ ნაწილისა და რუსეთის სხვა ტერიტორიის ევაკუაციისათვის.

იაპონიის დელეგაციამ ნიკოლაევსკში მომხდარ ამბებისა და სახალინის ევაკუაციის შესახებ მიმართა თავის მთავრობას ინსტრუქციებისათვის.

25 სექტემბრის სხდომა გაიხსნა მაცუდაირის დეკლარაციით. მან აღნიშნა, რომ სანამ საბჭოთა რუსეთისა და შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის დელეგაცია დაეინებით მოითხოვს იმის არ ცნობას, რომ სახალინის ოკუპაცია წარმოადგენს გარანტიას ნიკოლაევსკის საკითხის გადაჭრისათვის. იაპონიის მთავრობას შეუძლებლად მიაჩნია მოლაპარაკების გაგრძელება.

იოფემ, გაილაშქრა რა მაცუდაირის წინააღმდეგ, რომ საბჭოთა რუსეთის და შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის დელეგაციები მზად არიან შეთანხმების გზით ხელი გაუწოდონ იაპონიას. იოფემ მიუთითა იმაზეც, რომ დელეგაციები დაეინებით არ მოითხოვდნენ ევაკუაციის საკითხის განხილვას, სურდათ რა შეთანხმების მიღწევა და ნამდვილი ზავი შორეულ აღმოსავლეთში. რუსეთის და შორეულ-აღმოსავლეთის რესპუბლიკები არ დაუშვებენ, რომ მათი ტერიტორია დაიკავონ უცხოელებმა. ხელშეკრულებას, რომლის შემდეგაც არ იქნება მიღწეული თავისუფლება ოკუპაციისაგან, არ ექნება ღირებულება. რუსეთის ხალხი მიუხედავად ძნიმე წასულისა არ არის მტრულად განწყობილი იაპონიის ხალხისადმი თუ შეთანხმება შეუძლებელი იქნება იაპონიის მთავრობის გადაჭარბებულ მოთხოვნილების გამო, მაშინ მოგვიხდება ვიცადოთ მანამდე, სანამ იაპონიის მთავრობას არ აიძულებს იაპონიის ხალხი განაახლოს მოლაპარაკება, რომელიც შეეფერება ორთავე ხალხის მეგობრულ გრძნობას.

„ჩვენ იძულებული ვართ, სთქვა იოფემ, განვაცხადოთ, რომ ამ საკითხში ჩვენ არ უდალატეთ ჩვენს პოზიციას, ჩვენ მოგვიხდება მივატოვოთ კონფერენცია. მაცუდაირამ განაცხადა, რომ იაპონიას არ შეუძლია აწარმოვოს მოლაპარაკება ასეთ მნიშვნელოვანს საკითხზე იმ მთავრობასთან, რომელსაც არ სცნობს ფაქტიურად. ნიკოლაევსკის ამბები უმაგალითოა ისტორიაში, იაპონიამ დაიკავა სახალინის ჩრდილოეთის ნაწილი, როგორც გარანტია.

ამის საპასუხოდ იოფემ აღნიშნა, რომ ნიკოლაევსკის მზგავს ამბებს ადგილი ჰქონდა იაპონიის ოკუპაციის დროს ბევრ ქალაქებში, რომლებშიაც იაპონიის ჯარები ხერეტდნენ მშვიდობიან, მცხოვრებლების, აწარმოებდნენ ძალადობას, შეუბრალებლობას. იაპონელების განცხადება, რომ მოლაპარაკების ჩაშლის პასუხისმგებლობას ატარებს რუსეთის მხარე—ცარიელი სიტყვაა; რაც შეეხება განხეთქილების მოსალოდნელ შედეგებს, რომელსაც შეეხო მაცუდაირი, რუსეთის ხალხი ფხიზლად მოემზადება ამ შედეგებისათვის.

მოლაპარაკება იაპონიისა და რუსეთის დელეგაციების შორის იმავე დღის შესწყდა, რუსეთის დელეგაცია გამგზავრა პეკინში.

აზიის განთავისუფლებისათვის

ოსმალეთ-საბერძნეთის ბრძოლებმა დააფაცურა ევროპის იმპერიალისტები, რომელთაც არ გაუმართლდათ თავიანთი იმედები აზიის მიმართ. ჯერ-ჯერობით ამ ომში გამარჯვება წილად ხვდა ოსმალეთს და სრული დამარცხება განიცადა საბერძნეთის ავანტიურისტებმა. ამ მოვლენამ აღლაპარაკა მთელი ევროპის სახელმწიფოები, რადგან ოსმალეთის გამარჯვებამ სრულიად ახალ საშიშროების წინაშე დააყენა მათი საგაზიო პოლიტიკა და დღეს მოკავშირეები ცდილობენ საქმის სხვა გზით გამოსწორებას. ევროპის იმპერიალისტები, რომელნიც გუშინ საბერძნეთს აწვდიდნენ სამხედრო იარაღს, რათა გაენადგურებინათ ოსმალეთის ხალხი და საბერძნეთის დამარცხებით დაედგათ მონობის მძიმე უღელი ახლო აღმოსავლეთის ერებზედ, დღეს, როდესაც საბერძნეთი დამარცხებულია და ოსმალეთის ხალხს თავისი განძრახვა სამშობლოს განთავისუფლებისა სიტრულეში მოჰყავთ, ახალ ხერხს მიმართავენ და მორიგების გზით ცდილობენ ოსმალეთის დამონებას.

წარსული ომები ოსმალეთისა და საბერძნეთის, როგორც ვიცით ხან ერთისა და ხან კიდევ მეორის მხრით იხრებოდა, როდესაც საბერძნეთი იმარჯვებდა არავითარ დათმობაზე არ იყო ლაპარაკი ევროპის სახელმწიფოების მხრით, მხოლოდ, როდესაც ოსმალეთის ჯარი გაიმარჯვებდა, მაშინ ასტყდებოდა ზავზე და დათმობებზე ლაპარაკი, ეს ისტორია მეორდება დღესაც, როდესაც საბერძნეთი მარცხდება და ოსმალეთის ნაციონალური გმირები თავიანთ ტერიტორიას თანდათანობით ანთავისუფლებენ—რის გამო ინგლისში და სხვაგან სასწრაფო სხდომები იმართება ომის შესაჩერებლად და ახალ პირობების გამოსამუშავებლად. როგორც ვიცით, პარიზში უკვე შეუშავდა ახალი პირობები, მაგრამ იცნობს მათ ოსმალეთის ეროვნული გმირები, რომლებმაც თავს იდვეს ჩაგრულ ერის დროშის აფრიალება, გათელილ უფლებების აღდგენა და განთავისუფლება ევროპის მყვლეფელ იმპერიალისტებისაგან, ისინი კარგად იცნობენ მათ, რომლებმაც გაჯიჯგნეს და გათელეს ოსმალეთის ხალხის უფლებები ფეხქვეშ. ვინ არ იცნობს ინგლისის პოლიტიკას და მის ფიზიონომიას; ესენი ნათელია ჩვენთვისაც, რომლებმაც თვით განვიცადეთ მათი ოპერული პოლიტიკა. გავიხსენოთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და დენიკინის ომი; როდესაც დენიკინი იმარჯვებდა, ამ დროს ინგლისი ხმას არ იღებდა, რომ ომი ყოფილიყო შეჩერებული და საქართველოს საზღვრები გადულახველი, მხოლოდ, როდესაც ჩვენმა ჯარმა შეტევა დაიწყო და ამარცხებდა დენიკინელებს, ინგლისმა რამოდენიმე საათის განმავლობაში ომის შეწყვეტა მოგვთხოვა, რაც მენშევიკებმა მოწიწებით შეასრულეს. ესევე განმეორდა სომხეთთან ავანტიურისტულ ბრძოლის დროს და ამ ფორმებში არის მათი პოლიტიკა დღესაც მიმართული ოსმალეთ-საბერძნეთის მიმართაც.

ანატოლიის მოძრაობისა და ნაციონალურ რევოლიუციონურათ განწყობილ არმიის მთავარი მიზანია განთავისუფლება ოსმალეთის ხალხისა მყვლეფელ იმპერიალისტებისაგან. ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია, სანამ არსებობს ევროპის იმპერიალიზმი და კაპიტალიზმი.

საფრანგეთმა, რომელიც დღემდი ანგორის წინააღმდეგ ოფიციალურ ავანტიურისტულ პოლიტიკას ადგა, დღეს მორიგება და მეგობრობა დაუწყო ანგორის მთავრობას, რომ ამით შესძლოს ოსმალეთის თვისი მხრისაკენ გადამბირება და მით სარგებლობა თავისებურად. დღეს ამ გზას მოკავშირეებიც დაადგნენ და შეუდგნენ სევრი პირობების გადასინჯვას. ეს არის ევროპის პოლიტიკის დამარცხება, მაგრამ მათს ახალს პოლიტიკას ახალი ავანტიურისტული მიზნები უდგეს სარჩულად. მათ სურთ გადმიბირონ ოსმალეთის რევოლიუციონური ხალხი თავიანთ მხარეზედ.

მაგრამ ევროპის ბურჟუაზიის პოლიტიკას უკვე ფარდა აეხადა დიდი ხანია და ის დაინახა ყველამ, ვინც ამით დაინტერესებული იყო. ევროპის გაკოტრებული პოლიტიკა, რომელიც გამოსავალს ვეძიებს და ვერ უპოვნია, ისე დამარცხდება აზიაში, როგორც ის არა ერთხელ დამარცხდა ევროპის კონტინენტზედ. აზიის მშრომელი ხალხი კარგი ხანია ეროვნული თვითშემეცნებით შეიმოსა და ენერგიულს ბრძოლას უცადებს ევროპის მყვლეფელებს. კაპიტალიზმმა ვერ შესძლო ვერსად ცხოვრების მოწესრიგება. ეს გარემოება ამტკიცებს მას, რომ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს გამოელიათ ძალა და გამოიფიტა მათი ცხოვრებისა და არსებობის წინაარსი. ისინი სასიკვდილოდ არიან განწირულნი.

რევოლიუციონური ოსმალეთის გამარჯვება და მის ნაციონალური იდეების რეალურად განხორციელება ნიშნავს აზიიდან იმპერიალიზმის განდევნასა და ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ფრონტების დაშლას. აზიის ხსნა ტ მითი დამონებული ერების განთავისუფლება შეს ძლებელია მხოლოდ რევოლიუციონური გზით, კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლით. ევროპის იმპერიალისტებს ესმით ეს და ცდილობენ შეირიგონ რევოლიუციონური ოსმალეთი და მიჰმართონ ის საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ. მაგრამ ოსმალეთის ხალხმა გარკვევით უნდა შეიგნოს, რომ ასეთი პოლიტიკის განხორციელება სამუდამოდ გადაეჭრევა მათ ევროპის მონებად. ოსმალეთის დღევანდელმა ხელმძღვანელებმა უნდა იცოდეს, რომ მათი ერის ხსნა და განთავისუფლება შესაძლებელი არის მხოლოდ რევოლიუციონური ფრონტის გამაგრებით, საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად ყოფნაში.

გაეგმარჯოს ოსმალეთის ერის მშრომელთა მებრძოლ ძალას, რომლებმაც შეიგნეს თვისი ეროვნული უფლებები და თავგანწირული ბრძოლა გამოუცხადეს არა მკითხე სტუმრებს.

გრიშა ახათაანი.

ახალი ამბები

— **შემოწირულება ამხ. კამოს ფონდისათვის.** სრულიად რუსეთის აღმასკომმა ტ დამშეულთა კომიტეტმა შემოსწირა ამხ. კამოს ფონდის გასაძლიერებლიდ 32 მილიონი მანეთი; ყოფილ ენფიანჯიანების თამბაქოს ქარხნის კომიჩეიკისაგან 2,900,000 მან. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საკავშირო საბჭომ გადასდო 100 მილიონი.

— **მე-20 შრომის სკოლაში** (საბურთალო) მეცადინეობა განახლდება ოქტომბრის 2. სკოლის შენობის რემონტს უკვე შეუდგნენ და რამდენიმე დღეში დასრულდება. ამ წლიდან მეცადინეობა ნორმალურად იწარმოებს. გამგე და მასწავლებელთა პერსონალი დანიშნულია. ახალ მოწაფეთა მიღება სწარმოებს ყოველ დღე სწავლის დაწყებამდის.

— **არსენალის მიდამოებში 27—30** ენკენისთვის ყოველ დღე დილის 7 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე იქმნება გამოცდითი სროლა ტყვიისმფრქვეველებიდან.

—

შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში ამხ. სერ. ამაღლობელის წერილში არის შემდეგი კორექტურული შეცდომა. სწერია—„კოლექტიური ხელშეკრულობით მუშის ნორმალური ხელფასი [illegible] იყოს—[illegible] დიდდა!!.

სამხატვრო ქრონიკა

სრ. საქ. მწერალთა კავშირის საღამო კვირას 24 ენკენისთვეს, სახელმწიფო 1 კონსერვატორიაში გაიმართა ლიტერატურული საღამო სრ. საქ. მწერალთა კავშირის მიერ. პირველი მოხსენება ეკუთვნოდა კონსტანტინე გამსახურდიას ცნობილ გერმანელ პიეტ სტეფან გეორგე-ზე, რომელიც დახასიათებული იქმნა როგორც ახალი განათება პოეზიაში-პროზის ახალი სტილით, სულითა და მანერით.

მეორე მოხსენება წაიკითხა ლეონ ქიაჩელმა ივან კრისტოფის შესახებ. საღამოზე ლექსები წარმოსთქვეს ია ეკალაძემ (თეთრი ლექსი), ს. გრიშაშვილმა—თავისი ახალი ლექსი „ხასას", ტერენტი გრანელმა და სხვებმა. მინიატურები—დემნა შენგელაიამ და მიხ. ბოჭორიშვილმა.

ქართული დრამა. ცნობილი რეჟისორი კონ. მარჯანიშვილი შეუდგა ქართულ სცენისთვის პიესის მზადებას. პირველი რეპეტიცია დანიშნულია ხუთშაბათს, სექტემბრის 29 ს. პირველად დასდგამს თარგმნილ პიესას „ცხვრის წყარო"-ს.

სახელმწიფო ოპერის თეატრში უკვე ყველა მომღერალ მსახიობებმა მოიყარეს თავი და სწარმოებს რეპეტიციები. სეზონის გახსნა უკვე გადაწყდა 15 ოქტომბრისათვის.

ყვირილის თეატრი. ყვირილაში საზაფხულო სეზონი უკვე დასრულდა. წელს ხალხი აუარებელი ესწრებოდა, განსაკუთრებით ისტორიულ პიესებს, როგორც მაგ. „სამშობლო", „ღალატი" და სხვ.

დასში სხვათა შორის იყვნენ პროფესიონალ მსახიობნი: ც. ამირეჯიბი, მ, ლამბაშიძე, ვ. არაბიძე, უ. ჩხეიძე და სხვ.

ჭიათურის თეატრში წელს რეჟისორ-ხელმძღვანელად გაწვეულია ივ. ბარველი. პიესებს დასდგამს აგრეთვე ალ. ყალაბეგიშვილი.

თელავში ავად გახდა აკადემიური თეატრის ახალგაზრდა მსახიობი ქალი თ. ჭავჭავაძე.

პროვინციის ცხოვრება

მარგანეცის ექსპორტი. ამხანაგობის „ჩემოს" ფოთის სააგენტოს ცნობით, სექტემბრის 20 გავიდა გემი „ბენალდერი" 7348 ტონი მარგანეცით. ეხლა ითავებენ მეორე გემის „ვარდენიას" დატვირთვას და დაიწყეს ტვირთვა გემ. „ეჯიმი შინის" 18 სექ. და „კონეჯოსის" 21 სექ. ეს სამი გემი წაიღებს 130,000 ტონ ჩვეულებრივ და გარეცხილ მადანს.

აგვისტოს განმავლობაში ფოთის ნავთსადგურიდან გატანილია სულ 21,182 ტონი გარეცხილი და გაურეცხავი მარგანეცი.

ქვანახშირის ამოღება. ტყვიბულის შრომის მრეწველობის გამგეობის ცნობებით, ტყვიბულის მაღაროებში ნაყოფიერება გამოიხატა აგვისტოს პირველ ნახევარში 536,122 ფუთით და მეორე ნახევარში—563,760 ფუთით.

აფხაზეთში. აფხაზეთის კავშირის გამგეობამ დაამტკიცა ხელშეკრულობის პროექტი ცენტროკავშირთან. პირველმა უნდა დაუმზადოს მეორეს 500 ფუთი ოუთუნი.

— **საქართველოს კომპარტიის საოლქო კომიტეტების, სახალხო კომისართა**

საბჭოს და თავის პრეზიდიუმების გაერთიანებულ სხდომაზედ აირჩიეს კომისია, რომელსაც მიენდო შეადგინოს გეგმა სახელმწიფო სასურსათო მომარაგებისა და საამისო ხარჯთ აღრიცხვა (სახეში უნდა იქონიონ შტატების შემცირება და აფხაზეთის სამხედრო ნაწილები, რომელიც ეხლა სდგება) აგრეთვე გამოარკვიოს რაოდენობა იმ ქონებისა, რომელიც იმყოფებოდა ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სოხუმის განყოფილებაში და ეკუთვნის საბჭოთა აფხაზეთ!, რომ შეუშავდეს გეგმა და პირობები მისი რეალიზაციისა.

— ამავე სხდომაზედ მოიწონეს ამიერკავკ. საგარეო ვაჭრობის წინადადება საქონლის და სავალიუტო ბირჟის მოწყობის შესახებ. აუცილებლად იქნა ცნობილი სოხუმში ოფიციალი ბირჟის დაარსება. დაევალა ფინანსების კომისარს მოიწვიოს საორგანიზაციო კრება სამეურნეო ორგანოების, პროფკავშირთა კოოპერაციის და კერძო კაპიტალის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

პარტიაში

პარტიული განცხადება: ტფილისის საქალაქო კომიტეტი წინადადებას აძლევს. ტფილისელ ამხანაგებს განახლონ პარტიული მანდატები (საწევრო ბარათები) 15 ოქტომბრამდის. ა. წ. აღნიშნულ რიცხვის შემდეგ ძველად გაცემული მანდატები ჩაითვლება გაუქმებულად.

მანდატების განახლება სწარმოებს ყოველ დღე პარტიის მთავარ ბიუროში ლორის-მელიქოვის ქუჩა. № 1. ტფილისის კომიტეტის ოთახი № 1) საღამოს 7—10-მდის.

ტფ. კომიტეტი.

სოფლის მდგომარეობა

2.

წინა წერილში ჩვენ (იხ. „ტრიბუნა" № 300) მოკლედ და გაკვრით აღვნიშნეთ ის დეფექტები, რომელიც უტყუარ ფაქტად დარჩება მენშევიკების სამი წლის მოღვაწეობის ისტორიაში. ჩვენა ვსთქვით, რომ მენშევიკური პარტია და ჩვენი სოფელი ერთი და იგივე არ იყო, მათ შორის არ იყო შემაერთებელი ხიდი აღმართული და რაც იყო, „საერთო", იგი მხოლოდ ზევიდან დანიშნულ კომისრების რეპრესიების და შიშის ზეგავლენით არსებობდა.

თუ სოციალისტური შეგნებით და გაგებით მართალია ის დებულება, რომ სწავლა-განათლება და კულტურა არის თავდები, რომელმაც კაცობრიობა უნდა მიაახლოვოს სოციალიზმს და გაუმართლოს მშრომელ ხალხს ახალი ცხოვრების დიდი იმედები, რომელიც საბჭოთა მთავრობის წეს-წყობილების სახით მხოლოდ კომუნისტურმა პარტიამ უნდა გაუწიოს ხელმძღვანელობა და ხალხი, პროლეტარული მშრომელი ხალხი, ელვის სისწრაფით უნდა წასწიოს ამ მიმართულებით წინ,—ამ შემთხვევაში ჩვენ, თუ ზემო ნათქვამის შეგნებით გვსურს ჩვენი სოფლის მდგომარეობის კვლევა-ძიებაში შევიდეთ და საკითხსაც ზემო ნათქვამითვე მეუდგეთ, მაშინ ჩვენ სამწუხაროდ და სანუგეშოს ვერაფერს ვერ ვიტყვით:

და მართლაც, რა მდგომარეობაშია ჩვენი სოფელი?

ვინც კი დაინტერესებულია ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობით და კერძოდ სოფლის ცხოვრებით, იგი ამ სოფლებში შესვლისთანავე ერთი თვალის გადავლებითაც დარწმუნდება იმაში, რომ ჩვენი სოფლის მდგომარეობა საავადმყოფოა. აშკარად ეტყობა სოფელს, რომ იგი ხელისუფლების მიერ სათანადო მზრუნველობას მოკლებულია. მართალია სოფელში სასამართლო, მილიცია და სხვა მკვიდრ ნიადაგზე არის მოწყობილი, რომელიც წმინდა ადმინისტრატიულ ფუნქციას ასრულებს, მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ სოფელს მეტი არა უნდა რა? ერთი წუთითაც არა. ვიმეორებთ, რომ ჩვენი სოფლები ამ ჟამად უპატრონობას განიცდიან და ამის მეოხებით არის, რომ სოფელი ვერაგდება, აწინების მაგივრად ინგრევა. წყალს გლეხის დარიბი ოჯახი ბუნებამ გულუხვად დააჯილდოვა; მოუვიდა აუარებელი პური, სიმინდი, ღვინო, ბოსტნეული და სხვა და ჩვენც ამის მნახველნი დავიწყებას ვეძლევით და ვამბობთ:—აწი რაღა გვიშავს, სამეურნეო ფრონტზე გავიმარჯვეთ, გლეხი „გაძღება", ქალაქიც თავს დაახწევს არსებულ კრიზისს. ერთი სიტყვით, ჩვენი ქვეყნის საქმე დღეს უკვე გაჩარხულია, სხვა რაღა გვინდა? მაგრამ ნუ თუ გონიერი მოქალაქე დღეევანდელ ჩვენი ქვეყნის და კერძოდ სოფლის ასეთ წინსვლას და გამარჯვებას წერტილს დაუსვამს? ჩვენთვის უდავო ჭეშმარიტება იყოს ამბავი, რომ, ხისლიან ფრონტზე და სამოქალაქო ომიდან გამარჯვების შემდეგ, რევოლიუციამ სამეურნეო ფრონტის გაჩაღება პირველ საკითხად დაგვიყენა და ჩრდილის შემდეგ, ყველასათვის ეტყვა გარეშეა, რომ უტყუარი ნიშნებით ამ ფრონტზედაც ვიმარჯვებთ და ამ მხრივ, ამ ჟამად პური გვაქვს, მაგრამ „არა მარტო პურით ცოცხალ არს კაცი"—ეს პური იგივე „ღვთის წყალობით" უხვად გვქონდა განსვენებულ ნიკოლოზის მეფობის დროს და გაციცებით იაფი იყო, ვიდრე ეხლა, მაგრამ ჩვენ, სოციალისტები, მარტო პურის საკითხის ამოწურვით რადი ვფიქრობთ ძველი ცხოვრების გადახალისებას, არამედ ჩვენთვის ძველი ცხოვრების გარდაქმნის მთავარი ფაქტორი არის კულტურა ძველი ნაშთების აღმოფხვრით—ეი ჩვენ ამ მხრივ უნდა მიუდგეთ ჩვენი სოფლის მდგომარეობას დღეევანდელ პირობებში.

გაზ. „კომუნისტი" ხშირად გვესაუბრება მოქალაქეებს და ამბობს, რომ ამ ჟამად სოფელი დიდი ხალისით იხდის ნატურა-გადასახადს და აქედან აშკარადა სჩანს, რომ გლეხმა უკვე შეიგნო სახელმწიფოებრივი მოვალეობა და პატივისცემა მმართველი კომპარტიისაო. მმართველი პარტიის პატივისცემაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ რაც შეეხება საქართველოს სახელმწიფოებრივ მოვალეობის შეგნებას და პატივისცემას სოფლის ხმრივ, ამას ჩვენ სავსებით ვადასტურებთ არა გაზ. „კომუნისტის" თქმით, არამედ თვითონ სოფლის გლეხების ღაღადით. და მართლაც ოქვენ იშვიათად ნახავთ ისეთ ახირებულ გლეხს, რომელმაც უარყოს სახელმწიფო მოვალეობის შესრულება.

ეს იქიდანაც აშკარადა სჩანს, რომ ნატურ გადასახადს გლეხები მოთავრობას უპრეტენზიოდ უხდიან და არა თუ მარტო ნატურ გადასახადს, არამედ არ არის ისეთი მოთხოვნილება მთავრობისა, რომ გლეხები სრულის მორჩილებით არ ასრულებდნენ და რადგანაც ეს ასეა, ამიტომ გვსურს ვიკითხოთ:—როდესაც სოფლის გლეხმა შეიგნო და ის პირნათლად უმართლებს მთავრობას იმედებს, ჩვენ როდისდა უნდა შევიგნოთ და გაუმარჯოთ სოფელს დაპირებული იმედები? ჩვენ გვგონია უკვე დადგა ისეთი დრო, როდესაც სოციალისტური პარტიები და მთავრობა თეორიული მოძღვრებიდან პრაქტიკულ მუშაობაზე უნდა გადავიდეს. სოფელი, როგორც ამას მთავრობის ორგანოებიც ადასტურებენ,—გვაძლევს ყველაფერს, რასაც მას სახელმწიფო მოსთხოვს, მაგრამ საკითხავია რას ვაძლევთ ჩვენ იგივე სოფელს სამაგიეროს იმისას, რისაც, როგორც სოციალისტები, მთელი ჩვენი მიმართულებით, სოციალისტური მორალით და მოძღვრებით მოვალენი ვართ მივცეთ!—ამ მხრივ მეტად უნუგეშო და სამწუხარო სოფლის მდგომარეობა.

მართალია თითქმის ყოველ სოფელში არსებობენ რევკომები, კომსომოლები, იაჩეიკები და სხვა, მაგრამ ამას დიდი წინსვლა არ შეუტანია სოფლის ცხოვრებაში.

სოფლის ცხოვრების საჭიროებისათვის ადმშენებლობაში, ჩვენ რა თქმა უნდა არ მოგახსენებთ სახელმწიფოს მიერ ახალი რკინისგზების გაყვანაზე, არხების გათხრაზე და ჰაობების ამოშრობაზე, ჩვენ ყველა ამეებს ძალიან კარგად ვხედავთ, რომ საქართველოს მთავრობა შეძლების და გვარად ცდილობს და აკეთებს სახელმწიფოებრივი მაშტაბით, რის გაკეთებაც შესაძლებელია დღეევანდელ პირობებში იმ რესურსებით, რომელიც მის განკარგულებაშია, ამის არ დანახვა შეუძლიან მხოლოდ პოლიტიკურად დაბრმავებულს ან იმას, რომელთაც ძალიან კარგად ესმით დღეევანდელი პოლიტიკური მოძრაობის ვითარება, მაგრამ ანტაგონისტური განწყობილება რომ არ დაინახონ განგებ.

სამკითხველოები არა თუ ძველ მდგომარეობაშია, არამედ იგი შერყეული და აწეწილ-დაწეწილია. სოფელმა არ იცის თუ რა არის ახალი ლიტერატურა და გაზეთები. პარტკომის წევრები კი რასაკვირველია ღებულობენ თავიანთვის და ისე, როგორც ცნობილია მეშჩანურ სფეროებში, რომ ვინც რუსულად ლაპარაკობს და რუსული გაზეთი ხელში ეჭირავს, ის უსათუოდ რადაცის მცოდნეა და წარმოადგენს განათლებულ კაცს (მე მოგახსენებთ ქართველებზე) და ამიტომაც არის, რომ ხშირად ნახავთ ამ ჟამად, რომ გაზ. „კომუნისტთან" ერთად, მმართველი პარტიის წარმომადგენლებს უსათუოდ ხელში უჭირავთ „პრავდა გრუზია", „ზარია ვოსტოკა" და სხვა რუსული გაზეთები. და როდესაც ჩვენ ამას ვამბობთ, არა იმიტომ, თითქოს იმას ვამბობდეთ, რომ არავის ნება არ უნდა ჰქონდეს წაიკითხოს რუსული გაზეთები, არამედ ჩვენ იმას ვამბობთ, რომ ქართულ სოფელს ტონი უნდა ეძლეოდეს უსათუოდ ქართული ენით და ეს საქმე მეტად მკვიდრ ნიადაგზე უნდა იყოს მოწყობილი და არა ისე, როგორც ამ ჟამად სანთლით არის სოფლის გლეხისთვის მოსაძებნი სამკითხველოებში ქართული გაზეთები.

ჯანმრთელობის საქმეც ვერ სდგას თავის სიმაღლეზედ. მთავარი უმეტესობა ის არის, რომ ერთი ექიმი ემსახურება 7—8 სოფელს და ხშირად მეტსაც. ამასთანავე ექიმების „ვიზიტებს" საზღვრები როდი აქვს, ღარიბმა გლეხმა ავადმყოფის გასაშინჯში ექიმს უნდა მისცეს ორი ლიტრა პური (ორი ლიტ. განისაზღვრება 25 გირ. ზოგ სოფლებში მეტ-ნაკლებია, საშუალოდ კი 20 გირ.) 2 ლიტრა მარტო „ვიზიტი" გახდავთ „ჩასაწერი" და „რეცეპტის" დასაწერი—კიდევ ცალკე უნდა გადაიხადოს (ჩვენ გვიკვირს თუ რატომ რეცეპტზე მარკას კი არ აკვრევინებენ და ამაში კიდევ ცალკე არ ახდევინებენ საცოდავ გლეხს 2—3 ლიტრა პურს) მაგალითად ავადმყოფი გლეხი რომ სამჯერ გაეშინჯონ ექიმს, უნდა მიართვას 1 ნახ. ფუთი ხორბალი. ასეთ გაღლენებს ადგილი აქვს კახეთის სოფლებში. თქვენ ხშირადა ნახავთ ამ ჟამად სოფელში გლეხის ოჯახს, რომელსაც სახლში 3—4 სული უწევს ავადმყოფი (განსაკუთრებით კახეთში თითქმის ყოველ წელს მძვინვარებს ციება-ცხელება) მაშასადამე გლეხის ოჯახის 3 ან 4 სული ავადმყოფი რომ ექიმს ორჯელ ან სამჯერ გაესინჯინთნ „ვიზიტისათვის" საჭიროა 10—12 ფუთი ხორბალი. მერე რა გგონიათ, მართლა ამით თავდება ავადმყოფი გლეხის მკურნალობა? რა თქმა უნდა არა. ის, რაც მოგახსენეთ გახლავთ ექიმის შრომის ჯილდო. რამდენს გადიხდის მკითხველი თქვენის აზრით გლეხი წამლის ფასში ხორბალს? ამის ანგარიში თქვენთვის მიგვინდვია. ვვენ სავსებით ვიზიარებთ გლეხის პრეტენზიებს, რომ ის ამ მხრივ მართლაც იმედ გაცრუებულია. არ არის გლეხი გასამტყუნარი მაშინ, როდესაც ის გასიებული სხეულით „შესალოცათ" მირბის ვინმე ცრუმორწმუნესთან. ქალაქიდან დროებით მისულ სტუმარს სოფელში ნახავენ თუ არა, გლეხები მაშინათვე ეგზავნებიან:—ქალაქიდან მოსულხარ და „წამალი" რამე ხომ არ მოგიტანიათო?—რას ნიშნავს ეს? ნიშნავს თუ არა იმას, რომ გლეხის ჯანმრთელობა არ არის დაცული და მისი სიცოცხლე განწირულია!.. დიახ, შეშინებული გლეხი მისულ ხალხში ეძებს „წამლებს" რომ „იაფად" გადარჩეს და ამიტომაც არის, რომ დღეს თქვენ მრავალთა ნახავთ სპეკულიანტ დედაკაცებს, რომლებიც ავადმყოფ გლეხებში ასაღებენ რადაც ბალახ-ბულახისაგან გამოხარშულ წყლებს ბოთლებით და აძლევენ რადაც საეკვო „პარაშოკებს" და იშვიათად მიჩვენებთ ისეთ სოფელს, სადაც ასეთ მოვლენებს არა ჰქონდეს ალაგი. ამას წინეთ ერთ სოფლის ყრილობაზე, ერთი მოთმინებიდან გამოსული გლეხი ამბობდა:—„მოვაგვაროთ როგორმე ხალხნო ეს წამლისა და დოხტურის საქმე; სად შეეძლიან კაცთ გლეხ-კაცს, რომ წარა-მარა, სადაც თავი ასტკივდება—დოხტურს გასინჯვაში ორორი ლიტრა პური აძლიოს და რეცეპტის დაწერაში კიდევ ორი ლიტრა ცალკე. დავიქირავოდ სოფელმა ჯამაგირში ერთი დოხტური და დავაწესოთ წლიურად კომლზე ერთნაირი გადასახადი ისე, როგორც ნიკოლოზის დროს იყოფა!" ეი, სადამდის არის გლეხის ჯანმრთელობის საკითხი მისული და ის, ამ მდგომარეობაში ნიკოლოზის დროს ნატრობს და ყველაფერი ეს ხდება საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ მაშინ, როდესაც ჩვენ დღეს სრული საშუალება და შესაძლებლობაც გვაქვს. რომ საქმე სასურველად და [illegible] ხელმწიფო ინიციატივა [illegible]

(შემდეგი იქნება).

სახალხო კომისართა საბჭოში.

სახურსათო გადასახადის შემცირება. სასურსათო სახალხო კომისარიატთან არსებულ საუწყებათაშორისო სასურსათო სათათბიროს დადგენილების თანახმად, სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ახალციხის სამაზრო სასურსათო სამეულის შუამდგომლობა მთელს ახალციხის მაზრაში სასურსათო გადასახადის რაოდენობის 5.000 ფუთი ხორბალით შემცირების შესახებ; ამასთანავე სოფ. დადების მცხოვრებნი, როგორც კოხით უაღრესად დაზარალებულნი, სრულიად განთავისუფლებულნი არიან 1922 წლ. სასურსათო გადასახადისაგან და აგრეთვე მათგან მოხსნილია 1921 წლის სასურსათო გადასახადის ნარჩენი. გარდა ამისა ახალციხის მაზრაში შემცირებულია სასურსათო გადასახადის რაოდენობა 4.000 ფუთი ხორბალით.

კომუნალურ საგადასახადო კომახიეების მოქმედების შეთანხმება. თანახმად სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების № 3-ს მერვე მუხლისა, დამტკიცებულია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან ცენტრალური სათათბირო, რომლის კომპენტენციაში შედის ადგილობრივ გადასახადების და გადასახადების აკრეფის შესახებ დეკრეტების და ინსტრუქციების დარღვევის გამო საჩივრების განხილვა და კომუნალურ საგადასახადო კომისიების მოქმედებათა შეთანხმება; ცენტრალურ სათათბიროში შედის: შინაგან საქმეთა სახალხო კომის. ამხ. ნანეიშვილი, ფინანსთა კომისარიატიდან—ხახანაშვილი და მუშათა და გლეხთა ინსპექციიდან—ლოპატინსკი.

დახმარება პახარის ოჯახს. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის შუამდგომლობის გამო, სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა მიეცეს ბორჯომის მამულის ყოფილ გამგის პახარის ოჯახს რესპუბლიკისათვის დატოვებულ მუზეუმისა და ბიბლიოთეკისათვის ერთდროული დახმარება 100.000.000 მან. რაოდენობით.

პასუხისმგებელ მომუშავეთა კატეგორიაში გადარიცხვა. იუსტიციის სახალხო კომისარის მოხსენებით სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა, რათა სატარიფო განაკვეთის შემდეგ კატეგორიებში გადაყვანილ იქნენ პასუხისმგებელნი მომუშავენი ა. წ. სექტემბრის 1-დან: იუსტიციის სახალხო კომისარიატის საქმეთა მმართველი, იუსტიციის კომისარიატის იურისკონსულტატი და საიურისკონსულტო განყოფილების გამგე მე-15-ე კატეგორიაში, საკანონმდებლო განყოფილების მდივანი—მე-11 კატეგორიაში და რევოლიუციონურ ტრიბუნალების მდივნები—მე-12-ე კატეგორიაში.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ხალიკვიდაციო კომისია. სახალხო კომისართა საბჭომ განიხილა რა საქართველოს საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ხალიკვიდაციო კომისიის შუამდგომლობა გარდაცვალებულ პროფ. ავალიანის მაგიერ კომისიის თავმჯდომარის და ნიშნის შესახებ წინადადება მიეცა მუშათა და გლეხთა ინსპექციას სასწრაფოდ შეუდგეს საქართველოს საგარეო ვაჭრობის კომისარიატის ლიკვიდაციის საქმის რევიზიას; აღნიშნული რევიზიის დამთავრებამდე კი კომისიის მუშაობა შეჩერებულია.

ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში საქართველოს წარმომადგენელი. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის წარმომადგენლად ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში დანიშნულია ამხ. ნ. ამირაგოვი სასურსათო სახალხო კომისრის მოადგილის თანამდებობაზე დატოვებით.

განათლების სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა. სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე განათლების სახალხო კომისარიატმა აღძრა შუამდგომლობა განათლების ენერგიული მომუშავეთა დასაჯილდოვებლად სპეციალური ფონდის შექმნის შესახებ, მოგებიდან განსაზღვრულ პროცენტების გადარიცხვის გზით. უარყო რა ეს შუამდგომლობა, სახალხო კომისართა საბჭომ ნება დართო განათლების კომისარიატს განათლების ენერგიული თანამშრომლებთან შეკრას განსაკუთრებული შეთანხმებანი თავისი შეხედულებისამებრ.

მუშათა ხახლებიდან გამოხახლება. ტფილისის ქალაქის აღმასკომის მიერ წარმოდგენილია სახალხო კომისართა საბჭოში პროექტი დადგენილებისა მუშათა სახლებიდან იმ პირთა გამოსახლების შესახებ, რომელნიც არ არიან პროფკავშირთა წევრნი. პროექტის თანახმად სახლებიდან გამოსახლება მოხდება აღმასკომის კომუნალური განყოფილების დადგენილებით, პროფკავშირის განცხადებისამებრ.

მუშათა სახლებში ამ გზით განთავისუფლებული ბინები დაღუმულ უნდა იქნენ საბინაო სექციის ბეჭდით, რის შემდეგ გადაეცემიან საათანადო კავშირს, რომელიც ვალდებულია სამი დღის განმავლობაში გამოიყენოს განთავისუფლებული ბინა თავის წევრთა ჩასასახლებლად საბინაო სექციის ორდერით; წინააღმდეგ შემთხვევაში, სადგომები გადადის საბინაო სექციის განკარგულებაში, რომელიც ჩაასახლებს განთავისუფლებულ ბინებში ხხოლოდ პროფ-კავშირთა წევრებს.

ქ. ტფილისის მცხოვრებთა საყურადღებოდ

23 ივლის მიმდინარე წლისა მე-7 რაიონის მილიციის უფროსმა გამოგზავნა ქალაქის პირველ მიკროსკოპიულ სადგურში ექ. ვეტერინარის მიერ შეუმოწმებელი და ქალაქში დაქვრილი ცხვრის ხორცი, რომლის ნახევარი ხორცის პატრონს, სოფ. ქარაჯალაბში მცხოვრებ ალაკერლ ოსმალ ოღლს უკვე გაეყიდა. მიკროსკოპიულად (გარეგანი შეხედულობით) ხორცი საღი სჩანდა, ხოლო, როდესაც სადგურის დროებით გამგემ ექ. ვეტ. ბურჯანაძემ მიკროსკოპის საშვალებითაც გასინჯა ხორცი, ეს უკანასკნელი აღმოჩნდა დაავადებული ციმბირის ჭირით, რომელიც მოკლე ხანში კლავს ყოველივე სულდგმულს. ეს საშინელი სენი გადადის კაცზედაც და ასალმებს მას წუთისოფელს,

ციმბირის ჭირი ამ უკანასკნელ დროში ძლიერ გავრცელებულია რესპუბლიკის სხვა და სხვა ადგილებში, მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში (მარიამობისთვეში) ქალაქის მიკროსკოპიულ სადგურებზე იყო აღმოჩენილი სოფლებიდან მოტანილ ხორცზე თორმეტი შემთხვევა აღნიშნულ სენისა.

მან უკვე იმსხვერპლა რესპუბლიკაში ამ მოკლე ხანში რამდენიმე კაცი და დიდძალი რიცხვი პირუტყვისა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ისედაც ეკონომიურად დასუსტებულ ქვეყნებისთვის. მის წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებენ ვეტერინალური დაწესებულებანი: რესპუბლიკის ვეტერინარი-სანიტარული და აგრეთვე ქალაქის სავეტერინარო გახყოფილებაც თავის თანამშრომლებით, ექ. ვეტერინარიო და მათი თანაშემწეობით, მაგრამ ეს ბრძოლა რომ უფრო ნაყოფიერი იყოს, საჭიროა თვით მცხოვრებლები დაინტერესებულნი იყვნენ ამ სენით და ღებულობდნენ იძის წინააღმდეგ ზომებს ყოველი მცხოვრები (ძომხმარებელი) თვალყურს უნდა ადევნებდეს, რომ არ იყიდებოდეს ბაზარზე სათანადო დაუბეჭდავი და სავეტერინარო ზედამხედველობის მიერ შეუმოწმებელი ხორცი, თუ კი ასეთი შემჩნეული იქნება, ეს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ქალაქის მილიციის აგენტებს, რომლებიც გაგზავნიან ასეთ პროდუქტს ერთ-ერთ ქალაქის მიკროსკოპიულ სადგურებზე შესამოწმებლად, მცხოვრებლების საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ ხორცის გასაშინჯი სადგურები იმყოფებიან შემდეგ პუნქტებში: 1) ცენტრალური მიკროსკოპიული სადგური-გრაფის ქ. № 14, სალდათის ბაზართან ახლოს და 2) ვაგზლის ქ. № 16.

ქალაქის სავეტერინარო განყოფილება.

საბავშვო გამომცემლობა

სახალხო განათლების კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარ მართველობის სალიტერატურო სამხატვრო სექციის რედაქტორობით გამოვიდა და იყიდება შემდეგი საბავშვო ჟურნალები და წიგნები:

მცირეწლოვანთათვის: 1) „ნაკადული"—1921 წ. №№ 1, 2, 3, 4, 5, თითო წიგნი 8.000 მ. 2) „ნორჩი ძალა" კრებული 10,000 მ. 3) „სამი ამბავი"—ლექსები შალვა მღვიმელისა 8.000 მან. 4) „კოკორიკინა"—დონდუასი—5.000 მ. 5) „ბელა-ბეკეკა" 5.000 მ. 6) „შემოდგომა"—ფერადი სურათებიანი წიგნი 45,000 მ. 7) „ნაკადული" 1922 წ. № 1—2 თითო წიგნი 8.000 მ. 8) „დედაბერი, ტურა და მელა კუდი გძელია"—ფერადი სურათებით წიგნი 50.000 მ. 9) „ბავშვებს" ლექსთა კრებული გ. ქუჩიშვილისა 15.000 მ. 10) „ტყის ზღაპარი"—მ. სიბირიაკისა—თარგმანი ლ. იმნაძისა—15 000 მ.

მოზრდილთათვის: 11) „ჯეჯილი"—1921 წ. № 1—10.000 მ. 12) „თავისუფალ ბავშვთა სიმღერები" ლექ. კრებული 2.000 მ. 13) „ქართული მოძრავი თამაშობანი"—შედგენილი გ. მერკვილაძის მიერ 25.000 მ. 14) „ტროადას ომი"—ალ. მიქაბერიძისა 70.000 მ. 15) „ნოტები"—საბავშვო ინტერნაციონ. სიტყვა—ხმა შეწყობილი კომპოზ. ფოცხვერაშვილის მიერ 10,000 მ. 16) „ჯეჯილი"—1922 წ. № 1 10,000 მ.

იბეჭდება და ჩქარა გამოვა: 1) „იგავ-არაგი" ალ. მირიანიშვილისა. 2) „ტყის სურათები"—შ. მღვიმელისა, 3) ჭიანჭველას საოცარი თავგადასავალი, 4) „საბავშვო პიესათა კრებული", 5) „ლურჯი ფრინველი"—მ. მეტერლინგისა,

ამ ჟამად გამზადებული აქვს სექციას გამოსაცემად ჩვენი მწერლობის მოთხრობათა კრებული 2 წიგნათ. ჩვენი ზღაპრები 2 წიგნათ. როგორ იცავენ თავს ცხოველები 1. მზე მთვარე და ვარსკვლავები.

ოქროს მატყლოვანი ვერძი 1, რას გვიამბობს ოთახი 1. გაზაფხული და ზაფხული 1. მცენარეთა მეგობრები 1. ზამთარი 1. დამზადებულია ოგრეთვე მასალები „ნაკადულისათვის" სამი ნომრისა და „ჯეჯილის" ერთი ნომრისათვის. ზღვის სიმდიდრე და ( ). დაიბეჭდა იანვრიდან აქამდე.

1. „ნაკადული" №№ 1, 2, 3, 4 ორ წიგნად.

2. „ჯეჯილი" №№ 1, 2, 3, ერთ წიგნად. 3. ტყის ზღაპარი, მამინ სიბირიაკისა, 4. „ბავშვებს"—ლექსთა კრებული გ. ქუჩიშვილისა 5. „ტროადას ომი" ალ. მიქაბერიძისა, 6. „დედაბერი, ტურა და მელია—კუდი გძელია, ფერადი სურათებიანი წიგნი სულ მცირე წლოვან ბავშვთათვის.

სექციამ შეიმუშავა საბავშო თეატრის მოწყობის პროექტი და მოიწვია მეცნიერთა (8 კაცი) კომისია და ამათი დახმარებით შეადგინა პროექტი სასწავლებლებისათვის სახმარ ბიოლოგიურ ბოტანიკურ ატლასებისა, რომელიც უნდა დაიბეჭდოს ფერადებით ლიტოგრაფიაში. ამ ჟამად „სტამბებში იბეჭდება შემდეგი წიგნები:

1. „იგავ-არაკნი" ალ. მირიანაშვილისა, 2. „ივანე სულელი"—ზღაპარი ტოლსტოისა, 3. „საბავშო პიესათა კრებული", 4. „ჭიანჭველას საოცარი თავგადასავალი"—სკვორცოვისა 5. „ლურჯი ფრინველი" მეტერლინკისა. თარგ. ფრანგ. ჯაბადრისა. 6. „ტყის სურათები" შალ. მღვიმელისა, 7. „ჯეჯილი" და „ნაკადული" მორიგი ნომრები.

საზოგადოდ უფრო ნაყოფიერ მუშაობის წარმოებას სექციას ხელს უშლის სახსრის ნაკლებულობა. ეს უსახსრობა არის მიზეზი, რომ თუმცა საბავშო თეატრის და ატლასის დაბეჭდვის პროექტი პრინციპიალურად მიღებული არის ნარკომპროსის მიერ, მაგრამ სისრულეში არ იქმნა მოყვანილი. ჟურნალების ბეჭდვა შეჩერებულია და დაბეჭდილი წიგნებიც გამოუყიდავი აწყვია სტამბებში. ლამაზი ფერად სურათებიან წიგნებისათვის არ არის ქაღალდი და სხ. მაინც სექცია მუშაობს და ამზადებს მასალას, რომ პირველ შეძლებისთანავე საბავშო წიგნების გამოცემის საქმე როგორც თავის შინაარსით, ისე გარეგნული სიმშვენიერით დააყენოს შესაფერ ნიადაგზე.

ქურდ-ბაცაცები

მიუხედავად მკაცრი ზომებისა, რომელსაც ჩვენი ადმინისტრაცია იღებს ქურდების წინააღმდეგ და არავითარ დონისძიებას არ ერიდება ამ ბოროტების აღმოსაფხვრელად, მაინც მათი თარეში და მოქმედება ძლიერ საგრძნობია.

ამას წინად გაზეთებში იყო მოთავსებული ცნობა, რომ მათ სამოქმედო ასპარეზად უმთავრესად ქალაქის განაპირა ადგილები აურჩევიათ. თუ როგორია ამ ჟამად იქ მდგომარეობა ამ მხრივ და რა შედეგებს მიადწია საათანადო ორგანომ ჯერ არ ვიცით, ხოლო იმის მოწმენი კი შევიქენით, რომ ცენტრშიც გაჩნდნენ ისინი, რასაც მრავალი ქურდობის შემთხვევები ადასტურებენ.

საგულისხმიერია ის გარემოება, რომ მათ სახით ერთი და ორი ხელი არ მოქმედებს. ასე წარმოიდგინეთ რომ დღისით ახდენენ ქურდობას. სჩანს მათ ორგანიზაციაც აქვთ. ეი მაგალითად: კადეტის ქუჩაზე (ქალაქის ცენტრში) ერთი სახლი სისტემატიურად იცარცვება და მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ასეთი შემთხვევის შესახებ ცხადდება მილიციაში, რომელმაც საჭირო ზომებიც მიიღო და დიდი იმედებიც გამოსთქვა მაინც ქურდები ჯერ ჯერობით აღმოჩენილი ვერ იქმნა.

ამას წინად ერთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი. ამავე სახლში დღის 11—12 საათზე გაცარცული იქმნა ერთი ბინა, საიდანაც წაღებულ იყო 10 მილიონამდე ღირებული ტანისამოსი და სხვა. „ნადავლით" ხელში ქურდი წასულა დეზერტირის ბაზრის მიმართულებით, სადაც სამსახურის საქმეების გამო უოფილა სისხლის სამართლის მილიციის უფროსი აგენტი ცაბაძე, რომელსაც ეეკვით შეუჩერებია ის და ტომრის გასინჯვის შემდეგ, რომელშიდაც ნაპარავი ნივთები იყო, დარწმუნებულა, რომ ისინი კეთილ შენაძენი არ იქნებოდა. ამიტომ მაშინვე დაუპატიმრებია, მაგრამ გზაში ქურდს უსარგებლია შემთხვევით და გაქცეულა. ხოლო ნივთები გადაეცა დაზარალებულთ.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამხ. ცაბაძეს სამსახურის მოვალეობის ასრულების მხრივ თავის სიმაღლეზე ეხედავთ და მიუხედავად იმისა, რომ იყო შესაძლებლობა ამ ნივთებისათვის სხვა გზის ჩვენებისა—ის მეტად პატიოსანი აღმოჩნდა.

სწორედ, რომ ასეთი პირები და ასეთი მოქმედება ამაღლებს პრესტიჟს იმ დაწესებულებისას, რომელშიდაც ისინი მსახურობენ.

ქურდ-ბაცაცების წინააღმდეგ კი ბრძოლა უფრო მეტად უნდა გაცხოველდეს.

დამსწრე.

თეატრი და ხელოვნება

ზომლთელის საღამო. სამშაბათს, 26 ენკენისთვეს, წით. არ. ცენტრალურ კლუბში გამართული იყო პოეტ ზომლთელის საღამო. ეს მწერალი საქართველოში უკვე ძველი და კარგა ნაცნობია, ხოლო მისი სახელი საქ. ახალ პროლეტარულ მწერალთა შორის სულ სხვა იერისა და სიძლიერისაა.

საღამოს პროგრამა სავსებით იქნა შესრულებული, რომელიც ძალზე დიდი და მოსაწყენი შეიქნა საზოგადოებისათვის; უგემურათ შეკმაზულმა პროგრამამ მოსმენის ინტერესი დაღალა და ხალხი უდროოდ დაშალა.

მე ვფიქრობ, რომ ამ ჭეშმარიტ ქართველ პროლეტარულ მწერალს, იმ საღამოზე თავისი ნამდვილი ქართველი ლიტერატურული სახე უნდოდა ეჩვენებინა საზოგადოებისათვის, რასაც კიდეც მიაღწია. ის უსათუოდ გამოსარჩევია ყველა დანარჩენ პროლეტ—მწერლებისაგან საქართველოში.

—

რეჟისორ კ. მარჯანიშვილისა და გრიგოლ რობაქიძის მოხსენებამ, რომელიც შესდგა პირველ კოხსერვატორიის დარბაზში, ორშაბათს 25 სექტემბერს, თეატრის რეფორმით დაინტერესებულ საზოგადოების ფართო უმრავლესობა მიიზიდა.

„ახალი თეატრალური ძიებანი" ცნობილმა რეჟისორმა სრულიად კონკრეტ, თეატრალურ ფორმულათა სახეებში ჩამოასხა. მან. ახალი, ანუ თანამედროვე თეატრი მოგვცა „რიცხვებში და რიტმში". ხდება შედეგება, ანუ უფრო ჩვარა სინტეზი—სრულიად ახალს, ჩვენთვის მიუღებელ თეატრისა და სამხატვრო თეატრს შორის. ეს მოხსენება, როგორც უსათუოდ საგულისხმიეროა უფრო კარგი იქნებოდა წაკითხული რომ ყოფილიყო თეატრალ მუშაკების ვიწრო წრეში, სადაც აზრთა შეხლა-შემოხლა და ერთგვარი ანალიზი წარმოდგენილ ძიების გზებისა უფრო ნათელ წარმოდგენასა და დადინჯებულ სამუშაოთ შტრიხების გეგმებს შექმნიდა.

საუცხოო იყო მართლაც გრიგოლ რობაქიძის მოხსენება:

„თეატრი, როგორც რიტმი". გრიგოლ რობიქიძის, მუდამ ლიტერატურულათ კეთილ-შობილურ მჭერ-მეტყველებას სჩვევია ახალის თქმა, ისიც ასეთი სიძლიერითა და დარწმუნებით.

თეატრი როგორც რიტმი, თეატრალური ხელოვნების უმაღლესი ესტეტიური მწვერვალიდან განათებაა. ეს მოხსენება ზოგიერთ იქ დამსწრეთათვის გაუგებარი დარჩა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს სრულიად თეატრისაგან დაშორებულმა პირებმა, თუმცა მოსალოდნელი და სასურველი იყო—რასაკვირველია მსახიობ-რეჟისორთა აზრიც.

ორივე მოხსენება, ისე როგორც კამათი, რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. სხვათა შორის საღამოს დაესწრო რუსი პოეტი იგორ ტერენტიევი, რომელმაც თავისი მოსწრებული დახასიათებით ახალი თეატრის „რიცხვისა"—და „მაგიის" შინაარსი თავისებურ გაგებით გადასცა საზოგადოებას და მშვიდობიან ირონიის სახით დაასურათხატა მოხსენებელ-მოკამათენი. საზოგადოება კმაყოფილი დაიშალა.

ს—ანი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მმართველი კომიტეტი

დაკარგე პასპორტი სამი თვის, მარდახ შალომას ძე ჯანაშვილმა, რომელიც მქონდა მიღებული მაზრის მილიციის უფროსისაგან ვთვლი გაუქმებულათ.
№ 416.

ტფილისის
სამეურნეო ბანკის საბჭო

ამით აცხადებს, რომ

უკანასკნელ ვადათ
საწევრო ფულის შემოტანისა
დანიშნულია

10, 11 და 12 ოქტომბერი, ხოლო საზოგადო კრება კი მოწვეული იქნება 22 ოქტომბერს, დღის 11 საათზე.

დღიური წესრიგი:

1. საბჭოს მოხსენება ბანკის დაარსებისა და წესდების შესახებ.
2. ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.
3. არჩევნები საბჭოსი, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის.

№ 48

მცხოვრებსა საყურადღებოდ.

ქ. ტფილისში შრომის და ტვირთ-ზიდვის ხარკის ჩამტარებელი კომისია წინადადებას აძლევს ყველა სახლის მეპატრონეებს, სახლთა მმართველებს, სახლთა კომენდანტებს და საერთოდ ყველა-ისათ, ვისაც განკარგულებაში არის სახლი, რომ დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნების ერთი კვირის განმავლობაში, მოახდინონ გულდასმითი შესწორება სახლის დავთრების და თავის მდგმურთა დოკუმენტებისა და შესაფერ კომისარიატში წარადგინონ იმ პირთა სია, რომლებმაც კანონის ძალით უნდა გადაიხადონ ტვირთ-ზიდვის ხარკის ფული, თანახმად ქალაქის აღმასკომისა № 6, მაგრამ დღემდე არ აქვთ გადახდილი.

შრომისა და ტვირთზიდვის ხარკის ჩამტარებელი კომისის კონტროლიორებს ეძლევათ წინადადება, რათა ზემოაღნიშნულ ვადის განმავლობაში მოახდინონ გენერალური შესწორება გადასინჯვა სახლის დავთრების და მდგმურთა დოკუმენტების და წარმოადგინონ კომისიაში სახლის იმ მეპატრონეების, ან მათ შემცვლელთ სია, რომლებმაც არ მოიყვანეს სისრულეში ეს განკარგულება, აგრედვე იმ პირთა სიაც, რომლებმაც გვერდი აუხვიეს შრომისა და ტვირთზიდვის ხარკის ფულის სახით მოხდას, მათ წინააღმდეგ შესაფერ ზომების მისაღებად.

გადასახადთა ბიუროს აგენტებს ევალებათ დაუყონებლივ შეუდგნენ ვაჭრების დოკუმენტების შემოწმებას და გადაცემა კომისიაში იმ პირთა სიისა, რომლებმაც გვერდი აუხვიეს აღნიშნულ გადასახადის მოხდას, თუ ასეთები აღმოჩნდებიან.

კომისიის თავმჯდომარე: **თაქთაქიშვილი.**
პასუხისმგებელი მდივანი
და კომისიის წევრი **რუხაძე.**

2—2

ტფილისის აღმასკომთან არსებული შრომის და ტვირთზიდვის ხარკის ჩამტარებელი კომისია

ამით აუწყებს ყველა, ვისაც ეხება ეს გადასახადი, რომ თანახმად აღმასკომის დადგენილებისა,

ერთი კვირით, დაწყებული სექტემბრის 24-დან, შეჩერებულია ჯარიმის შეწერა,

ასე რომ, ვისაც ჯერ არ შემოუტანია შრომის ხარკი,

გარდა ხუთი მანეთისა ოქროთი
იხდიან კიდევ
ჯარიმას მხოლოდ სამასი ათას მანეთს

(300,000) ქართული ბონებით.

კომისიის თავმჯდომარე **თაქთაქიშვილი.**
პასუხისმგებელი მდივანი კომისიის წევრი: **რუხაძე.**

№ 47 2—2

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმის

დადგენილების თანახმად ა. წ. სექტემბრის 30-თვის

მოწვეულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი სესია,

შემდეგი დღიური წესრიგით:

1) მოხსენება ს—ს ცაკის პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ. (მომხსენებელია ფ. მახარაძე).
2) პროექტი სამაზრო და თემთა აღმასკომების რეორგანიზაციის შესახებ. (მოხსენებელია შინ. საქმეთა სახ. კომის. ს. გეგეჭკორი).
3) მიწათმოწყობის დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ. (მომხსენებელია მიწათმოქმედების სახ. კომ. ს. თოდრია).
4) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი. (მომხსენებელია ს. ქავთარაძე).
5) პროექტი დებულებისა ადვოკატურის შესახებ. (მომხსენებელია ს. ქავთარაძე).
6) პროექტი დებულებისა პროკურატურის შესახებ. (მომხსენებელია ს. ქავთარაძე).
7) საერთო დებულება გადასახადთა სისტემის შესახებ. (მომხსენებელია ფინანსთა სახ. კომისარი).
8) მოხსენება სიმშილზე. (მომხსენებელია ფ. მახარაძე).

რადგან განსახილველი საკითხები ფრიად საყურადღებოა, დასწრება ცაკის ყველა წევრებისათვის აუცილებელია.

ს—ს ცაკის პრეზიდიუმი.

ტფილისის აღმასკომის გადასახადთა ბიუროს
აცხადებს

რომ ვერის ბორანზე გადასვლის ფასი ენკენისთვის 21-დან დაწესებულია

2000 მანეთი

№ 42. 10—7.